

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი) შესაბამისად

ერთის მხრივ, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (მის: ქ. თბილისი, ვაჟლის მოედანი №2), წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის ლევან კოპლატაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს "დელტა სისტემსი" (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 95) წარმოდგენილი - მისი აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი კაციას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას უკვე არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის დადგენილი ჯარიმების მართვის პროგრამის მოდერნიზაციისა და მასში ცვლილებების შეტანის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე 33'000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება").

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 2.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:
 - 2.3.1. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი (დანართი №1).
 - 2.3.2. ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №2).
 - 2.3.3. ტექნიკური პირობა (დანართი №3).
- 2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

- 3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს უკვე არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის დადგენილი ჯარიმების მართვის პროგრამის მოდერნიზაცია და მასში ცვლილებების შეტანის მომსახურება (შემდგომში "მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 72200000

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი მერაბ ალთუნაშვილი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილების უფროსი ლერი აროშვილი (შემდგომში "ინსპექტორების ჯგუფი").
- 4.2. ინსპექტორების ჯგუფის ფუნქციებია:
 - 4.2.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადების დაცვას;
 - 4.2.2. დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
 - 4.2.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევა განახორციელოს მომსახურების გაწევის ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №1).


6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 ლევან კოპლატაძე
 გენერალური დირექტორი



"მიმწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი



"7" "კვირი" 2012 წელი

ქ. თბილისი

- 6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- 6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.
- 6.4. მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.
- 6.5. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 6.6. შემსყიდველი ორგანიზაცია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობებს მიმწოდებელს, ინფორმაციას შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების შესახებ.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- 7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;
- 7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №2).
- 7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
- 7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საგარანტიო პირობები და ვადები

- 8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შესაბამისაა მომსახურების გაწევის ტექნიკურ პირობებს (დანართი №3).
- 8.2. მიმწოდებელი ასევე იძლევა გარანტიას, რომ ერთი წლის განმავლობაში, მიწოდებული მომსახურება, მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვისას აღმოჩენილი დეფექტების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, დროულად მოახდინოს დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება პროგრამული უზრუნველყოფის დეფექტების (ე.წ. „ბაგების“) გასწორებას, ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფისა და მესამე მხარის მიერ მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის (საოპერაციო სისტემები, სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა) კონფიგურაციის დეფექტების გამოსწორებას, თუ ეს უკანასკნელი მიმწოდებლის მიზეობითაა განპირობებული.
- 8.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განხორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
- 8.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
 - 9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
 - 9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
 - 9.1.3. 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
 - 9.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
 - 9.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
 - 9.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.
 - 9.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - 9.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

შპს "თბილისის სატრანსპორტ კომპანია" "მიმწოდებელი"
შპს "დელტა სისტემსი"

ლევან კობლაძე Levan Katsidze

ტექნიკური დირექტორი გიორგი კაცია

აღმასრულებელი დირექტორი აღმასრულებელი დირექტორი




- 10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის.
- 10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის;
- 10.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
 - 10.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წაწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.
 - 10.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
 - 10.4.3. ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

- 11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
- 11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალაზგა და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემზარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

შპს "მომსყიდველი"
 შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 ლევან კობლატაძე
 გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი

ქ. თბილისი

"I." "საქართველო" 2012 წელი

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;
- 14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
 შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2
 ტელ: (995 32) 2 93 50 50.
 სს საქართველოს ბანკი
 ა/ა GE32BG000000127527201; ბანკის კოდი: BAGAGE22
 საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788

"მიმწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 95
 ტელ: 995 (32) 509575,
 სს საქართველოს ბანკის ცენტრ. ფილიალი,
 ა/ა 879458700; ბანკის კოდი: 220101502
 საიდენტიფიკაციო კოდი: 205256131

"შემსყიდველი"
 შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 ლევან კობლატაძე
 გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი




მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

მომსახურების მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.


მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2.

"მემსციდელო"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"



ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიწოდებელი"
შპს "დელტა სისტემსი"



გიორგი კაცია
აღმასრულებელი დირექტორი

ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
"შემსყიდველი"



ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "დელტა სისტემსი"

Handwritten Signature
გიორგი კაცია
აღმასრულებელი დირექტორი



ტექნიკური პირობა

მოთხოვნები ჯარიმის ქვითრის ელექტრონულად გამოწერის მიმართ

1 შესავალი

1.1 დოკუმენტის აღწერა

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ბიზნეს პროცესის აღწერას, რომელსაც თან ახლავს ფუნქციონალური მოთხოვნების ჩამონათვალი. დოკუმენტში აღწერილია პროცესები და ამ პროცესებიდან გამომდინარე კონკრეტული ქმედებები, რომლის შესრულებაც აუცილებელია სისტემაში მონაცემების აღრიცხვისათვის.


1.2 დოკუმენტის სტრუქტურა

დოკუმენტში აღწერილია კომპანიაში არსებული ზოგადი პროცესები. პროცესებს მოსდევს ვიზუალური დიაგრამა, სადაც ნაჩვენებია პროცესის შემადგენელი ქმედებები, მათი ურთიერთკავშირი და თანმიმდევრობა, რომელიც საჭიროა პროცესის შესასრულებლად. ამის შემდეგ, მოცემულია თითოეული ქმედების დეტალური აღწერა, სადაც ჩამოთვლილია ქმედების დანიშნულება და ქმედებისთვის საჭირო შემავალი მონაცემები. დოკუმენტის ბოლოს ჩამოთვლილია ის ფუნქციონალური მოთხოვნები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული სისტემის ლოგიკის შექმნის დროს. თითოეულ მოთხოვნაზე მითითებულია თუ რომელ კონკრეტულ ქმედებას შეესაბამება ეს უკანასკნელი.

2 ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოწერის მოდული

2.1 საჯარიმო ქვითრის გამოწერის პროცესი

2.1.1 ბიზნეს პროცესის აღწერა




სურ. 1. ზოგადი პროცესის დიაგრამა

- მოქალაქეების მიერ მგზავრობის საფასურის არ გადახდის შემთხვევაში, ხდება მათი დაჯარიმება, რომელიც უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, პორტატული ტაბლეტების საშუალებით.
- ტაბლეტში შეყვანილი მონაცემები, ამობეჭდვის შემდეგ, უნდა გადაიზავნოს ჯარიმების აღრიცხვის სისტემის მონაცემთა ბაზაში თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სერვერზე.

2.1.2 ქმედებების ჩამონათვალი

ამ ზოგადი პროცესის განსახორციელებლად, შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ქმედებების შესრულება:

- o ქმედება A - საჯარიმო ქვითრის ფორმირება.



2.1.2.1 ქმედება A - საჯარიმო ქვითრის ფორმირება

მოცემული ქმედებით ხორციელდება საჯარიმო ქვითრის ელექტრონულად გამოწერა სამართალდარღვევებზე, ტაბლეტების საშუალებით, რომელიც ექნება მგზავრთა მონიტორინგის ყოველ თანამშრომელს ინდივიდუალურად. მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მიერ ტაბლეტზე მუშაობის დაწყება, შესაძლებელი უნდა იყოს ავტორიზაციის გავლის შემდეგ, შესაბამისად, ბაზაში უკვე დაფიქსირებული თანამშრომლების (კონტროლიორების) მიხედვით, უნდა შეიქმნას მომხმარებლები.

მონაწილეები

- თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი;

შემაჯავლი მონაცემები


საჯარიმო ქვითრის მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგი ტიპის მონაცემებს, რომლებიც გამოჩნდება ამობეჭდილ ვერსიაშიც, ველების შევსების მიუხედავად:

- o ნომერი - ველში უნდა ჩაიწეროს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, რომელიც უნდა იყოს უნიკალური. გამოწერისას, ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ნომერი უნდა მიენიჭოს ავტომატურად, ტაბლეტში ინფორმაციის შევსების შემდეგ, წინასწარი საბეჭდი ფორმის გამოტანისას (რომელშიც მონაცემების რედაქტირება უნდა იყოს შეუძლებელი, გარდა სამართალდამრღვევის ხელმოწერისა). ნომრის გენერირების შემდეგ, მომხმარებელს არ უნდა შეეძლოს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გაუქმება;
- o შედგენის თარიღი - ველში ავტომატურად უნდა ჩაიწეროს სერვერის თარიღი;
- o შემდგენის თანამდებობა - ველი ივსება ავტომატურად, სისტემაში ავტორიზირებული მომხმარებლის მიხედვით;
 - სახელი და გვარი - ველში იწერება საჯარიმო ქვითარი შემდგენის სახელი და გვარი, რომელიც ავტომატურად უნდა შეივსოს იმის მიხედვით, თუ რომელი მომხმარებელია ავტორიზირებული სისტემაში;
- o სამართალდამრღვევის პირადი ნომერი - ველში პირადობის ნომრის ჩაწერის შემდეგ, სისტემაში ავტომატურად უნდა დაგენერირდეს მოქალაქის სახელი, გვარი და რეგისტრაციის მისამართი ქვემოთ არსებულ ველებში, სამოქალაქო რეესტრთან ინტეგრაციის გზით. თუკი დაჯარიმებული პირი არ არის საქართველოს მოქალაქე, ველში იწერება ბინადრობის მოწმობის ნომერი.
 - სახელი და გვარი - ველი ავტომატურად უნდა შეივსოს სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;
 - რეგისტრაციის მისამართი - ველი ავტომატურად უნდა შეივსოს სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.
 - და სხვა - ტექსტური ველი. ველში უნდა ჩაიწეროს სამართალდამრღვევის ფაქტური მისამართი ან სხვა სახის ინფორმაცია;
- o სამართალდარღვევის ჩადენის:
 - ადგილი - საცნობარო ინფორმაცია. მნიშვნელობის შეთავაზება უნდა მოხდეს ავტობუსის გაჩერების ჩამონათვალიდან, არჩევის და შემდგომი რედაქტირების შესაძლებლობით;
 - დრო - ველში ავტომატურად უნდა ჩაიწეროს სამართალდარღვევის ჩადენისას (ჯარიმის გამოწერის დაწყებისას) დაფიქსირებული სერვერის დრო, მომხმარებლის მიერ რედაქტირების შესაძლებლობით;
 - ავტობუსის მარშრუტის ნომერი - მნიშვნელობის არჩევა უნდა მოხდეს შესაბამისი ცნობარიდან;
 - ავტობუსის სახელმწიფო ნომერი - ამ ინფორმაციის მისათითებლად უნდა იყოს ორი ველი:
 - ✓ სერია - საცნობარო ინფორმაცია. მონაცემის არჩევა უნდა მოხდეს ავტობუსის სერიების ჩამონათვალიდან;
 - ✓ ნომერი - რიცხვითი ველი, რომელშიც უნდა ჩაიწეროს ავტობუსის ნომერი, სერიის შესაბამისად;
 - არსი - ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა - არარედაქტირებადი ველი. ტექსტი წარმოადგენს პარამეტრს;
- o პასუხისმგებლობა - აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - არარედაქტირებადი ველი. ტექსტი წარმოადგენს პარამეტრს;
- o ჯარიმის ოდენობა 5 (ხუთი) ლარი - არარედაქტირებადი ველი. ტექსტი წარმოადგენს პარამეტრს, რომლისთვისაც საჭიროა ორი ველის არსებობა (ერთი რიცხვითი ველი (5), მეორე ტექსტური ველი [(ხუთი)]);
- o საბიუჯეტო შემოსავლის საბაზისო კოდი 300773255 - არარედაქტირებადი ველი. ტექსტი წარმოადგენს პარამეტრს;
- o მოწმე ან სხვა მონაწილე - ველში იწერება სახელი და გვარი;
 - სტატუსი - ველში ჩაწერილი იქნება „მოწმე“ და მომხმარებელს უნდა ქონდეს შესაძლებლობა აირჩიოს სხვა მნიშვნელობა (სხვა მონაწილე).
 - ხელმოწერა - ხელმოწერა სურათის სახით უნდა მიეზას საჯარიმო ქვითარს და უნდა დაფიქსირდეს ქვითრის ამოპრინტერებულ ვერსიაში;
- o სამართალდამრღვევის ხელმოწერა - ტაბლეტში ღილაკზე დაჭერით, გამოსაწერი ქვითარი უნდა გაიშალოს მთელს ეკრანზე, სადაც უნდა ჩანდეს ფორმაზე არსებული ყველა ველი (შეუვსებელი ველები ცარიელი უნდა იყოს). ხელმოწერა სურათის სახით უნდა მიეზას საჯარიმო ქვითარს და უნდა დაფიქსირდეს ქვითრის ამოპრინტერებულ ვერსიაში;
 - უარი ხელმოწერაზე - მოსანიშნი ველი;

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"



"მიმწოდებელი" შპს "დელტა სისტემისი"



7 "დეკემბერი" 2012 წელი

ქ. თბილისი

- უარი ჩაბარებაზე - მოსანიშნი ველი;

შესაძლებელი უნდა იყოს ორივე ველის მონიშვნა.

- შემდგენის ხელმოწერა - თანამშრომლის ხელმოწერის ელექტრონული ვერსია, რომელიც უნდა შეიცავს მონაცემთა ბაზიდან;
- შენიშვნა - ტექსტური ველი;

მონაცემების შეყვანის შემდეგ, მომხმარებელს უნდა შეეძლოს საჯარიმო ქვითრის ამობეჭდვა და სამართალდამრღვევისთვის გადაცემა. ყველა არსებული ველი წარმოადგენს აუცილებლად შესასვლელს, გარდა „და სხვა“, „უარი ხელმოწერაზე“, „უარი ჩაბარებაზე“, „მოწმე ან სხვა მონაწილე“, „შენიშვნა“.

ანგარიშგება N1

ამ კონკრეტული ქმედებისთვის ანგარიშგებას წარმოადგენს სამართალდამრღვევის საჯარიმო ქვითრის ამობეჭდილი ვერსია.

ანგარიშგება N2

მოცემული ქმედებისთვის ანგარიშგებას წარმოადგენს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა. ამ ანგარიშგების მისაღები ფორმა უნდა განთავსდეს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ჯარიმების აღრიცხვის სისტემაში არსებულ ჩანართ "რეპორტები"-ში, სადაც შესაბამის ველში, პერიოდის და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის მითითებით, უნდა დაგენერირდეს დაფიქსირებული თანამშრომლის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა დღეების მიხედვით (მითითებული პერიოდის საზღვრებში). რეპორტის ფორმაში უნდა იყოს შემდეგი ველები:

- თარიღი;
- საჯარიმო ქვითრების რაოდენობა - ველში უნდა დაფიქსირდეს მითითებულ დღეს შედგენილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა, მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის მიხედვით;

ანგარიშგება N3

მოცემული ქმედებისთვის ანგარიშგებას წარმოადგენს შედგენილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა, მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მიხედვით. ამ ანგარიშგების მისაღები ფორმა უნდა განთავსდეს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ჯარიმების აღრიცხვის სისტემაში არსებულ ჩანართ "რეპორტები"-ში, სადაც შესაბამის ველში, პერიოდის მითითებით, უნდა დაგენერირდეს აღნიშნული პერიოდის მონაკვეთში შედგენილი საჯარიმო ქვითრის რაოდენობა, მონიტორინგის თანამშრომლების მიხედვით. რეპორტის ფორმაზე უნდა იყოს შემდეგი ველები:

- მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი;
- საჯარიმო ქვითრების რაოდენობა - ველში იწერება თითოეული თანამშრომლის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა, მითითებული პერიოდის საზღვრებში;

3 ფუნქციონალური მოთხოვნები


ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილია ის ფუნქციონალური მოთხოვნები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული სისტემის ლოგიკის შექმნის დროს. თითოეულ მოთხოვნაზე მითითებულია თუ რომელი ქმედებიდან გამომდინარეობს კონკრეტული ფუნქციონალური მოთხოვნა.

#	ფუნქციონალური მოთხოვნის აღწერა	ქმედება
1.	უნდა იყოს შესაძლებლობა, ხელმეორედ ამოიბეჭდოს ტაბლეტში შეყვანილი ინფორმაცია ისე, რომ საჯარიმო ქვითრის ნომერი არ შეიცვალოს. შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ზოლო საჯარიმო ქვითრის ხელმეორედ ბეჭდვა.	2.1.2.1
2.	მონაცემთა ბაზაში შესაძლებელი უნდა იყოს მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა ხელმოწერების შეყვანა, რომლებიც ავტომატურად უნდა დაფიქსირდეს საჯარიმო ქვითრზე შესაბამისი თანამშრომლის მიერ ჯარიმის გამოწერის დროს.	2.1.2.1
3.	თუ მომხმარებელმა აპლიკაციაში არ შეიტანა რაიმე ცვლილება წინასწარ განსაზღვრული დროის (მაგ.: 30 წუთი, 90 წუთი) განმავლობაში, სესია უნდა შეწყდეს და ხელმეორედ უნდა მოხდეს ავტორიზაციის გავლა. დროის რეგულირება უნდა მოხდეს ადმინისტრირების მოდულიდან შეყვანილი წუთების რაოდენობის მიხედვით.	
4.	მონაცემთა ბაზაში უნდა დაფიქსირდეს თითოეულ თანამშრომელზე გაცემული ელექტრონული მოწყობილობის mac-ნომერი.	2

შესყიდველი
 შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 ლევან კოლატაძე
 გენერალური დირექტორი



"მიმწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი




ქ. თბილისი

5.	პირადი ნომრით რეესტრიდან ინფორმაციის წამოღების განსაზღვრული რაოდენობის ცდის შემდეგ, თუ მომხმარებელი არ გამოწერს ჯარიმას, რეესტრთან კავშირი ამ მომხმარებლისათვის დროებით უნდა შეიზღუდოს. რამდენი ცდის შემდეგ, რამდენი ხნით უნდა დაიხუროს რეესტრთან წვდომა, უნდა იმართებოდეს ადმინისტრირების მოდულიდან.	2.1.2.1
6.	ჯარიმის ელექტრონულად გამოწერის მოდული უნდა იყოს ვებ-აპლიკაცია.	
7.	რეპორტის ფორმაში უნდა დაემატოს ახალი ჩანართი „გამოწერილისაჯარიმო ქვითრები თანამშრომლების მიხედვით“.	
8.	ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმირებისას, თუ რომელიმე აუცილებლად შესავსები ველი იქნება ცარიელი, მომხმარებელს არ უნდა შეეძლოს საჯარიმო ქვითრის ამობეჭდვა.	

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
 "მომწოდებელი"
 ლევან კობლატაძე
 გენერალური დირექტორი



"მომწოდებელი"
 შპს "დელტა სისტემსი"
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი



ქ. თბილისი

- o ოქმების რაოდენობა თანამშრომლის მიხედვით;
- o რეპორტი გადახდების მიხედვით (მაგ.: 5 ლარი ვადაში გადახადა - n, 50 ლარი დაგვიანებით გადახადა - n, საერთოდ არ გადახადა და ა.შ.)

6. ცვლილებები თანამშრომლების სიის ფორმაში

სია განთავსებულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ჯარიმების აღრიცხვის სისტემის ჩანართ - „თანამშრომლები“-ში, სადაც უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები.

- o უნდა დაემატოს ახალი სვეტი - „ID“ , რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის სისტემურ სახელს და უნდა შედგებოდეს ოთხი ციფრისაგან. შემდეგში, ეს ID გამოყენებულ უნდა იქნას მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების დასახელებად, ტაბლეტში ავტორიზაციის გავლისას. ეს მონაცემი უნდა გამოჩნდეს ოქმების ხედვის „ყველა“ რეჟიმში.
- o უნდა გაუქმდეს სიაში არსებული სვეტი „მამის სახელი“.
- o უნდა დაემატოს ახალი სვეტი „პაროლი“, რომელშიც უნდა ჩაიწეროს მომხმარებლის სისტემური პაროლი. ამ სვეტის ნახვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ადმინისტრირების მოდულიდან განსაზღვრულ მომხმარებელს. ამ უკანასკნელს უნდა შეეძლოს პაროლის შეცვლა, ველში რედაქტირებით შესვლისას.
- o უნდა დაემატოს ახალი სვეტი „MAC-ნომერი“. MAC-ნომერი უნდა იყოს საცნობარო ტიპის, როდესაც ხდება მისი მომხმარებლისათვის განსაზღვრა. თუ არსებული MAC-ნომერი უკვე განსაზღვრულია რომელიმე მომხმარებლისთვის, სიაში (სადაც ჩამოშლილია ყველა MAC ნომერი) ეს ნომერი არ უნდა გამოჩნდეს.
- o უნდა დაემატოს ახალი სვეტი „ჯგუფის ID“. ეს მონაცემი უნდა გამოჩნდეს ოქმების ხედვის „ყველა“ რეჟიმში.

7. არსებული სისტემის სხვა ცვლილებები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, აგრეთვე უნდა მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

- o სათაურის სახელწოდება უნდა იყოს „სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვის სისტემა“.
- o ოქმის რედაქტირების ფორმაზე არსებული ველი - „ოქმის შედგენის ადგილი“ უნდა გახდეს საცნობარო ტიპის. ველში სიტყვის აკრეფისას, სისტემამ უნდა ჩამოშალოს ყველა შესაძლო დამთხვევა. ცნობარში ინფორმაციის დამატება უნდა მოხდეს ჩანართ „ცნობარი“-დან, სადაც უნდა მიეთითოს ადგილის დასახელება და ID ნომერი. ამ მონაცემისთვის უნდა იყოს როგორც ახალი ჩანაწერის დამატების შესაძლებლობა, ასევე ინფორმაციის იმპორტი. იმპორტის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საფეხურები:
 1. დამატებული მონაცემების ID ნომრები არ დაემთხვა ძველი ჩანაწერების ID ნომრებს - ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ძველი ჩანაწერების (რომლებიც არ დაემთხვა) წაშლა და ახალი ჩანაწერების დამატება.
 2. დამატებული მონაცემების ID ნომრები დაემთხვა ძველი ჩანაწერების ID ნომრებს, არ დაემთხვა დასახელება - ამ შემთხვევაში, ძველი ჩანაწერების (რომელთა ID დაემთხვა) ID ნომერი იგივე რჩება, ხოლო დასახელება შეიცვლება ახლად დამატებული დასახელებით.
 3. დამატებული მონაცემების ID ნომრები და დასახელება ემთხვევა ძველ ჩანაწერებს - ამ შემთხვევაში უცვლელი რჩება ძველი ჩანაწერები.
- o ოქმის რედაქტირების ფორმაზე უნდა დაემატოს ორი მოსანიშნი ველი: „უარი ხელმოწერაზე“, „უარი ჩაბარებაზე“, თითოეულის რედაქტირების შესაძლებლობით.
- o სტატუსი „გადახდილი“ უნდა გაიყოს ორად: „გადახდილი ჯარიმა“ და „გადახდილი საურავი“.
- o მონაცემთა ბაზის ასრავება/არქივაცია.
- o თუ მოხდა საჯარიმო ქვითარის გამოწერის თარიღის შეცვლა, მისთვის ხელახალი სტატუსის მინიჭება უნდა მოხდეს ავტომატურად (იმავე წესით, როგორც მაგალითად ხდება „ვადაგადაცილებული საურავის“ სტატუსის მინიჭება ყოველი დღის ზოლოს).
- o შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებელთა ინფორმაციის იმპორტი თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში არსებული HR მონაცემთა ბაზიდან. მონაცემების იმპორტისათვის, HR მონაცემთა ბაზის მხარეს შეიქმნება შესაბამისი „View“, რომლის სტრუქტურაც მორგებული იქნება „ჯარიმების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის“ შესაბამისი ცხრილის სტრუქტურასთან. იმპორტის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ეტაპები:
 - მომხმარებლის იმპორტირებული მონაცემები დაემთხვა ძველ მონაცემებს - ამ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს ძველი ჩანაწერები;
 - იმპორტირებული მონაცემები არ დაემთხვა ძველ ჩანაწერებს - ამ შემთხვევაში ყოველი ახალი მომხმარებლისათვის უნდა შეიქმნას დამატებითი ჩანაწერი და თითოეულ მათგანს უნდა განესაზღვროს (სისტემის მიერ) ექვსი სიმბოლოსაგან შემდგარი პაროლი.
 - მომხმარებლების ID დაემთხვა ძველ ID-ს, არ დაემთხვა სხვა მონაცემები - ამ შემთხვევაში, მომხმარებლის მონაცემებში უნდა შეიცვალოს მხოლოდ განსხვავებული პარამეტრები.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
 „შესყიდვით“
 ლევან კობლატაძე
 გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
 შპს „დელტა სისტემის“
 გიორგი კაცია
 აღმასრულებელი დირექტორი